ცნობა

მიხეილ ჯანელიძე დაიბადა 1981 წლის 29 მარტს.

2002 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის ბაკალავრის ხარისხი.

2006 წელს დაამთავრა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური აკადემია, საერთაშორისო სამართლის ასპირანტურა.

2011 წელს სწავლობდა კავკასიის ბიზნეს სკოლაში და მიენიჭა საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი აღმასრულებელთათვის.

2011 წელს დაამთავრა საფრანგეთის გრენობლის ბიზნეს უმაღლესი სკოლა და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალობით.

2003 წლის ივლისიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარ სპეციალისტად.

2004-2006 წლებში იყო ქ. მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) ინვენსტორებთან ურთიერთობების ოფიცერი სს „პარკსიმში".

2006-2007 წლებში მუშაობდა შპს „საერთაშორისო პროექტების დახმარების სერვისში" ბიზნესის განვითარების მენეჯრად; 2007 წელს ასევე იყო ს.ს. „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას" ვისოლ ჯგუფის პროექტის მენეჯერი.

2007-2009 წლებში იყო შპს „ველლაჯიოს" ვისოლ ჯგუფის მმართველი დირექტორი.

2009 წლის იანვრიდან 2009 წლის დეკემბრამდე - კ.ს. „ჯანელიძე და კომპანიას“ დამფუძნებელი, პარტნიორი.

2009-2011 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.

2011 წლის 16 დეკემბრიდან 2015 წლის 21 სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, პარალელურად 2014 წლის 10 თებერვალს დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის საბჭოს წევრად საჯარო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის ვადით.

2015 წლის 21 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

2011 წლის 18 ოქტომბერს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ფლობს რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს.